№ 251 ნოემბერი 29, სამშაბათი 1888 ნოემბერი 29, სამშაბათი № 251

# ივერია

ბაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, პასტამოვის სახლი, № 5, ხიდეველის სავაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» წევრთა წლიური კრება, დანიშნული 20 ნოემბრისთვის, ვერ შესდგა, რადგან კანონიერი რიცხვი წევრთა არ შეიკრიბა. ამიტომ, საზოგადოების წესდების მე-15 §-ის ძალით, ხელმეორედ კრება დანიშნულ იქმნა 27 ნოემბრისთვის. მაგრამ რადგანაც ასე მოხდა, რომ ამ დღისთვის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურნი საგანგებო კრებაზე არიან მიწვეულნი, ამის გამო „წერა-კითხვის საზოგადოების“ ხელ-მეორედ კრება დანიშნულია 6 დეკემბრისთვის. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

---

ტფილისი, 28 ნოემბერი

გუშინ-წინ, 26 ნოემბერს, კრება ჰქონდა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას. ამ კრებაზედ გასარჩევ საგნად დანიშნული იყო ის თუ—რა ზომიერება საჭიროა იხმაროს საზოგადოებამ, რომ კავკასიის ვენახები გადაარჩინოს ორის საშინელის სენისაგან,—ნაცრისა და მილდიუსაგან. რადგანაც ეს საგანი მეტად საგულისხმოა ჩვენებურ ვენახთა პატრონებისათვის, ამისათვის საზოგადოებას მოეწვივნა ჩვენებურნი მიწათ-მოქმედნი, რათა ამათაც დაეკითხონ და ამათი რჩევაც მოისმინონ. ამათგანნი თუმცა იყვნენ კრებაზედ, მაგრამ არა იმდენი, რამოდენიც სანატრელია მათთვის, ვისაც ამისთანა მძიმე საქმისათვის გული შესტკივა.

კრებას მოხსენდა, რომ აწ 1888 წელს ნაცარი ყველგან ძალიან გაძლიერებული იყო და ბევრს ადგილას, ნამეტნავად კახეთში, ნაცარს მილდიუც მოემატა და ძლიერ აზარალა ვენახის პატრონებიო. დიდი ხანია რაც ნაცარსაც და მილდიუსაც ევროპამ წამალი უპოვა და თითქმის უებარიცა. თითქმის ვამბობთ, იმიტომ-რომ თუ კაცი წინასწარვე შეუდგა შესაფერის ცოდნით ვენახის წამლობასა, იშვიათი შემთხვევა იქნება ვერ გადაარჩინოს ვენახი წახდენისაგან. ამას ამტკიცებს როგორც გამოცდილება, ისეც მეცნიერება. გარდა ამისა ისიც დამტკიცებულია და ჭეშმარიტებით გამოანგარიშებული, რომ ეს წამლობა დიდს ხარჯს არ ითხოვს და ადვილად გასამეტებელია და მოსახერხებელი ყველასათვის. ესეც რომ არ იყოს, ვენახი, სენისაგან გადარჩენილი, იმოდენის ზომით უბრუნებს მოსავლითა დანახარჯს, რომ რაოდენობა ხარჯისა ამ ზომასთან სათქმელიც არ არის.

რომ ნაცარსაც და მილდიუსაც უებარი წამალი აქვს და თვითონ წამლობაც ბევრს ხარჯს არა თხოულობს, ეს იმდენად გამორკვეულია, რომ კრებაზედ ამის შესახებ თითქმის ლაპარაკიც არა ყოფილა. კრების ყურადღება საკუთრად იმაზედ მიიქცა, თუ,—რა გზით მიეშველოს სამეურნეო საზოგადოება ხალხსა, რომ ვენახების წამლობა გაუადვილოს. ამ საგანზედ ბევრი ილაპარაკეს კრებაზედ და სხვათა შორის გამოჩნდა, რომ სამეურნეო საზოგადოების ხელთ არის ხუთი გუნდი საფილოქსერო კომიტეტისა. ამ ხუთის გუნდისაგან ორი ისევ საჭიროა გაგზავნილ იქმნას ფილოქსერის საბრძოლველად იქ, სადაც ფილოქსერის შიშია, და სამი-კი შესაძლოა მოხმარდეს ნაცრისა და მილდიუს საქმესა. ამათ უპირებენ გაჰგზავნონ სხვა-და-სხვა ადგილებში და დაავალონ ადგილზევე უჩვენონ ხალხს როგორ უნდა უწამლონ ვენახებსა.

გარდა ამისა გამოირკვა, რომ სამეურნეო საზოგადოებამ უნდა წინადვე შეამზადოს ყოველისფერი რაც-კი საჭიროა ნაცრისა და მილდიუს წამლობისათვის და ყოველივე ასე შემზადებული იარაღი, თუ წამლის მასალა იქ იქონიოს, საცა ვენახის პატრონებს ეადვილებათ მისვლა ან სასყიდლად, ანუ რომელისამე პირობით გამოსართმევად. ამ სარჩიელის გამო გამოირკვა, რომ რაც-კი შეძლება ექმნება სამეურნეო საზოგადოებას, იმის კვალობაზედ ყველაფერს ამას წინადვე შეამზადებს, ხოლო საქმე ის არის, რომ თვითონ ვენახის პატრონებმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღონ და რაიმე თვით-მოქმედება გამოიჩინონ თავიანთ ვენახების გადასარჩენად, თორემ თუ ისინი არ მოინდომებენ ვენახების წამლობას, ყველა ჩვენი ცდა და ხარჯი თითქმის ამაოდ ჩაივლისო. ჩვენ შეგვიძლიანო რაც შეიძლება იეფად და ადვილად მივაწოდოთ ყოველი საჭირო იარაღი და წამალი ვენახების წამლობისათვის, შესაძლოა შეღავათიანი პირობებიც დაუდვათ, თუ ვინიცობაა პირველ ხანში ფული არ შეხვდასთ ყოველ ამის სყიდვისათვის. ხოლო თვითონ ვენახის პატრონს წამლობის სურვილი და ხალისი უნდა ჰქონდესო. როგორ გამოვიწვიოთ ეს სურვილი და ხალისიო?

ამ უკანასკნელ საკითხზედ ხანგრძლივი ლაპარაკი გაიმართა. ყველამ საჭიროდ-კი სცნა, რომ უსათუოდ უნდა გამოვიწვიოთ სურვილი და ხალისი ვენახების წამლობისა თვით ვენახების პატრონთა შორისო, ხოლო ამისათვის ზოგი ერთს გზას აჩვენებდა, ზოგი მეორეს. ბოლოს იმაზედ დადგა კრება, რომ რომელისამე გზით მივმართოთ ადგილობრივთ ვენახის პატრონთა შეადგინონ ადგილ-ადგილ ამხანაგობა იმათგან, ვისაც ჰსურს და ესმის ვენახების წამლობის საჭიროება, მოიპოვონ რაც შესაძლოა მომეტებულნი ამხანაგნი, წინადვე შემოუკვეთონ სამეურნეო საზოგადოებას რის რამდენი იარაღი და წამალი უნდათ, თვითონ ამხანაგნი შეეცადნენ ისწავლონ როგორ იხმარონ წამლობისათვის საჭირო იარაღი, როგორ აკეთონ და შეაზავონ თვით წამალი და აგრე მომზადებულნი შეუდგნენ წამლობასა თავ-თავის ვენახებისას. ვინც ამისთანა ამხანაგობაში ჩაეწერება, იმას სამეურნეო საზოგადოება უპირატესობას მისცემს ყოველ იმაში, რაც საზოგადოების მიერ სამეღავათოდ დადგენილ იქნება. წამლობის შესასწავლებლად და ამისათვის საჭირო დარიგების მისაცემად სამეურნეო საზოგადოება ჰფიქრობს თავის საკლიმატიზაციო ბაღში, რომელიც ტფილისში იმყოფება, გაჰმართოს იანვარსა თუ თებერვალში ლექციები და გარდა ამისა მცოდნე კაცებმა აქ თვალად აჩვენონ მსურველთ როგორ იხმარება იარაღი წამლობისა და როგორ კეთდება თვითონ წამალიცა. რა თქმა უნდა, ამ წამლობის სურვილისა და ხალისის გამოსაწვევად საჭიროდ დანახულ იქმნა ბროშიურების დაბეჭდვა აქაურ ენებზედ ამ წამლობის თაობაზედ და ამ გზით ხალხში წამლობის ცოდნის მოფენა და გავრცელება.

ამ სახით კრებაზედ აღმოჩნდა, რომ სამეურნეო საზოგადოება ამ ნაცრისა და მილდიუს საქმეში ჰკისრულობს ორს მოვალეობას: ერთს იმას, რომ ხალხს გაუადვილოს იეფად შოვნა წამლობის იარაღისა და წამლისა და მეორეს იმას, რომ გამოიწვიოს ვენახების პატრონთა შორის თვით-მოქმედება და ხალისი მათისავე ვენახების გადასარჩენად. ორსავ ამ საგნის დაწვრილებით გამორკვევისა და განწესიერებისათვის კრებამ ამოირჩია კომისია და დაავალა რაც შესაძლოა მალე შეამზადოს სარჩიელი მასზედ თუ,—რა გზით შეასრულოს სამეურნეო საზოგადოებამ ეს ორ ნაირი მოვალეობა თავისი.

ჩვენის აზრით, ხსენებული კრება სამეურნეო საზოგადოებისა ძალიან კარგად მოიქცა, რომ აღიარა თვისი ულონობა იმისთანა საქმეში, როგორიც არის ნაცრისა და მილდიუსაგან ვენახების დახსნა და გადარჩენა. ეს კიდევ არაფერი იქნებოდა, თუ ამასთანავე არ ეღიარებინა, რომ აქ საჭიროა მოიშველიოს თვით ვენახების პატრონებიცა, ესე იგი, სცნა, რომ ყოველივე ცდა სამეურნეო საზოგადოებისა თითქმის ამაოა, თუ საზოგადოებას კავშირი არა აქვს სოფლის მეურნეებთან, თუ მათ შორის ფესვი არა აქვს გადგმული, თუ მათსა ხმასა, საჭიროებას, მათს სარჩიელს ყურს არ ათხოვებს და მათთან ერთად არ შეუდგება სამეურნეო საქმის წინ წაწევასა და წარმატებასა. ხსენებულს კრებას, ჩვენის აზრით, მხოლოდ ამ აზრით ჰქონდა საზოგადოებური მნიშვნელობა. ჩვენ დიდად მოხარულნი ვართ, რომ სამეურნეო საზოგადოებამ ამ ბოლოს ხანებში საჭიროდ დაინახა დაუახლოვდეს სოფლის მეურნეებს და მათთან კავშირი იქონიოს. უამისოდ დღეს აქამომდე ბევრსა ჰვნებდა თვით საზოგადოებასა და მეურნეებსაცა, იმიტომ-რომ ის სასარგებლო აზრი, რომელიც საძირკვლად უდევს ამ საზოგადოებას, თითქმის უქმად იყო მეურნეთათვის, რომელთ შორისაც ბევრმა არც-კი იცოდა არის სადმე ეს საზოგადოება თუ არა და თუ არის, რის მოხელეა. ამისი მაგალითი სთქვა კიდეც კრებაზედ ერთმა წევრმა საზოგადოებისამ.

თუ საზოგადოებას უნდა სიკეთე რამ დაავალოს სოფლის მეურნეობას, სოფლის მეურნეებს უნდა ჩახედოს გულში და მათი ჭირი და ლხინი იცნას და გამოირკვიოს. ეს მარტო მაშინ არის შესაძლებელი, როცა საზოგადოებისა და მეურნეთა შორის ადვილად გასავლელი ხიდი იდება და საქმის შესაფერი კავშირი გაიბმება. საქმე ის არის, რომ მეურნეეთა ხმა სწვდებოდეს საზოგადოების ყურსა და ყურნიც გამზადებულ იყვნენ სასმენლად. ამ ნაირ საზოგადოებას, ჩვენის აზრით, სხვა მნიშვნელობა არა აქვს, თუ არ ისა, რომ შუამდგომელ იყვეს მთავრობისა და სოფლის მეურნეობის შორის. მან უნდა აცნობოს მთავრობას გაჭირება სოფლის მეურნეობისა და ამ უკანასკნელს კიდევ მოაშველოს შემწეობა მთავრობისა, საცა და როცა საჭიროა. ამიტომაც არ შევცდებით ვსთქვათ, რომ სამეურნეო საზოგადოება ერთის მხრით ყური და ენაა სოფლის მეურნეობისა, რათა თვითონ ისმინოს და მთავრობას ასმინოს რა უჭირს მეურნეობას, და მეორეს მხრით ხელია მთავრობისა, რათა მთავრობის შემწეობა მოაშველოს და მოახმაროს მეურნეობას მისდა საჭიროებისამებრ. ამ აზრზეა აგებული ყოველივე ამისთანა საზოგადოება ევროპაში და ეს აზრი ვერას დროს ვერ ისაქმებს, თუ სამეურნეო საზოგადოებას მკვიდრთა თანა არა აქვს ურთიერთობა და მუდმივი კავშირი.

ხსენებულმა კრებამ ჩვენს თვალში იმითი უფრო იჩინა თავი, რომ ეს ურთიერთობა საზოგადოებისა და მეურნეებისა არამც თუ საჭიროდ დაინახა, არამედ იმისათვის ცდასაც შეუდგა. თუმცა სასურველია, რომ ამ ურთიერთობის დამყარებისათვის ცდა ყველაფერში საჭიროდ იყოს დანახული და არა მარტო იმისთანა ცალკე საქმეში, როგორც ნაცრისა და მილდიუს საქმეა, მაგრამ ეს პირველი მაგალითიც კაი ნიშანია, სამერმისოდაც ნუგეშს იძლევა. ჩვენც ჩვენის მხრით უნდა შევეცადნეთ, რომ ამ პირველს ცდას საზოგადოებისას რიგიანად მივეგებნეთ. ხოლო როგორ და რა გზით? ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

---

## ახალი ამბავი

*** 26 ამ თთვისას ლონდონის სასტუმროში თავი მოუკლავს რევოლვერით ბაქოს ოლქის სასამართლოს წევრს ნ. სეინკინს. ტყვია გულს ქვემოდ მოხვედრია. პოლიცია რომ მივიდა, სეინკინი ჯერ ისევ ცოცხალი იყო და პოლიციამ საავადმყოფოში გაგზავნა, სადაც გარდაიცვალა მეორე დღესვე.

*** დღეს, სამშაბათს, ბანკის თეატრში ქართულის სცენის მოყვარენი პირველად ითამაშებენ ბ-ნ ა. ნ. ფურცელაძის თხზულებას, ხუთ-მოქმედებიან დრამას: „დიდი მოურავი“. როგორც აფიშა მოგვითხრობს, ამ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს 270 მოთამაშე და პიესის დადგმა დაჯდება 800 მანეთი. წარმოდგენის გამართვა ჩვენში დიდი არაფერია, ხოლო გასაკვირველი ის არის, რომ ჩვენებურს მოყვარეთ განუზრახავთ ისეთის პიესის წარმოდგენა, რომლის გამართვა და ისიც ჩვენს სცენაზე ყოვლად მოუხერხებელი და შეუძლებელია. ამ წარმოდგენაში ქართული დრამატიული საზოგადოება არავითარს მონაწილეობას არ იღებს.

*** ადრევე კვირისთვის იყო დანიშნული კრება „წერა-კითხვის საზოგადოებისა“. იმავ დღეს „ივერიაში“ დაიბეჭდა განცხადება, რომ კრება გადაიდვა 6 დეკემბრისათვისაო. სწორედ არავის მიუქცევია ყურადღება ამ განცხადებისათვის, რომ იმოდენა ხალხი მოაწყდა ბანკის დარბაზს კრებაზე დასასწრებლად. ბანკის კარები დაკეტილი დაჰხვდათ და მთქმელი-კი არავინ იყო, რომ შეეტყობინებინა კრების გადადება. ზოგიერთს ეგონათ—იქნება სხვა ადგილას შეიკრიბნენო და გასწიეს დეპუტატთა კრებულის სადგურისაკენ. მხოლოდ იქ გაიგეს, რომ სათავად-აზნაურო კრებამ შეუშალა ხელი „წერა-კითხვის საზოგადოებას“. „საზოგადოების“ გამგეობა ადვილად აიცდენდა თავიდამ სამდურავს წევრთა ტყუილ-უბრალო ხეტიალისას, რომ ცოტა ადრე დაებეჭდა თავისი განცხადება, იმიტომ-რომ განცხადებას მაგდენად ბეჯითად არავინ წაიკითხავს. და თუ ეს მოუხერხებელი იყო, ურიგოდ არ მოიქცეოდნენ, რომ ბანკის კარებზე მაინც გაეკრათ რამ ცნობა ამის გამო.

*** როგორც მკითხველმა იცის, პირველ ივლისიდამ საქალაქო სასწორების იჯარადრებმა ხელი აიღეს ამ იჯარაზე და სასწორების საქმე ქალაქის გამგეობამ იკისრა. მას აქეთ წვრილ-წვრილი მუშტარი გამოუჩნდა სხვა-და-სხვა სასწორებს და ამიტომ ზოგი უმნიშვნელო სასწორი კვლავ იჯარით გადასცეს მსურველებს. ამ

დღეებში ავჭალის მოედნის სასწორიც იჯარით გადასცა გამგეობამ კერძო კაცს და, როგორც ისმის, კარგადაც მოიქცა, რადგან ავჭალის სასწორზე შემოსავალი ჰქონდა ქალაქს სულ ოთხ მანეთამდე თთვეში და ამავე დროს მესასწორე იღებდა ჯამაგირს თთვეში 15—20 მანათამდე. მაშასადამე, თითქმის ერთი ხუთადა ზარალობდა. რაკი იჯარით გასცა, ეხლა ზარალს მაინც აღარა ჰნახავს, თუ მოგება მაგდენი არა ექნება-რა.

⁂ **ქუთაისიდგან** გვწერენ: როგორც იქნა, ჩვენც ველირსეთ ქართულ დრამატიულს დასს. ბ-ნს კ. ს. მესხს განზრახვა აქვს ჰმართოს წარმოდგენები და კიდეც შეუდგენია დასი. ამ დასში ჯერ-ჯერობით შემდეგი მოთამაშეებია: ქ-ნნი: მესხისა, ჭილაძისა, ლორთქიფანიძისა და აველიანისა; ბ-ნნი: კ. ს. მესხი, ზ. ნაკაშიძე, გოგოლაშვილი, ბადრიძე, მინდელი, გაბიჩვაძე, მაღრაძე, გამრეკელი, ჯანოშვილი და სხვანია. სეზონი იწყება ფრანგულიდგან ილ. მიქელაძის მიერ ნათარგმნის დრამით: „ფოსტის გაცარცვა".

⁂ **მლეთიდგან** გვწერენ: აქედგან ორს ვერსტზე, სოფ. არხვეთში, რაღაც ნაირმა ავადმყოფობამ იჩინა თავი; თუ რა ავადმყოფობაა, ჩვენ არ ვიცით. პირველად ამ ავადმყოფობამ იმსხვერპლა ერთი მეეტლე, თიანეთიდგან დაბრუნებული. დაბრუნებულმა მეეტლემ სამი დღე იავადა და მესამე თუ მეოთხე დღეს განუტევა სული. ამას მიჰყვა მეზობელი, მეზობელს სხვები, ისე რომ ორის კვირის განმავლობაში მოკვდა შვიდი თუ რვა სული. ავადმყოფს პირველად ტანში აჟრჟოლებოა, მერე სიცხეს აძლევდა და მესამე დღეს კვდებოდა. მიცვალებულებს ენა და ტუჩები უშავდებოდათ. ეს ავადმყოფობა აგერ ერთი კვირაა რაც შესწყდა; სამაგიეროდ გვეწვია ბავშვების ავადმყოფობა. აგერ ერთი კვირა არის, რაც დღეში ერთს ვასაფლავებთ. ამ ერთის კვირის წინად ეს ამბავი ვაცნობეთ მაზრის უფროსს და ორშაბათს, 21-ს ნოემბერს, მოვიდნენ არხვეთში მაზრის ექიმები. სოფელი კომლეულად დაიარეს ექიმებმა, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, უვიცის ხალხის საქმე. ზოგმა ავადმყოფი კიდეც დამალა. ექიმებმა რამდენიმე ავადმყოფი ბავშვი მაინც ნახეს. დიდების ავადმყოფობას ველარ მოუსწრეს. აღმოჩნდა, რომ ბავშვების ავადმყოფობა ყიანახველა ყოფილა. ეს ავადმყოფობა ისე ძლიერად არის გავრცელებული, რომ ოჯახი არ არის, რომ თითო ავადმყოფი ბავშვი არ უწევს ლოგინში.

## პასუხად ბ-ნს ა. ხახანაშვილს

წავიკითხე თქვენი წერილი, რომელიც დაბეჭდილია «ივერიის» № 243-ში. გატეხილი უნდა მოგახსენოთ, რომ ვერ გამიგია, რისთვის და რად გასჯილხართ, როცა თქვენი წერილი იმას ამტკიცებს, რასაც მე ვამბობდი: თქვენ სრულიად ვერ შეგიგნიათ ბახტრიონის აღების აზრი და მნიშვნელობა...

თქვენ, ჩემო ბატონო, თავს იმითი მართლულობთ, რომ „სწორედ ისე ჩავწერე, როგორც მიამბესო", ზეპირ-გადმონაცემი უნდა ჩაიწეროს სწორედ ისე, როგორც ხალხს ახსოვსო... ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ბახტრიონის აღება-კი თქვენ სრულიად ისე არ ჩაგიწერიათ, „როგორც ხალხს ახსოვს"... თქვენ ხალხში არა ბძანებულხართ, იმის ზეპირ-გადმონაცემი არ მოგისმენიათ, ვიღაცა ზურაბაშვილს ალალბედზე შეხვედრიხართ და იმის აბდაუბდა ნაამბობი ჩაგიწერიათ... ეს ჩაწერა კიდევ არაფერი: თქვენ გადაჭრით ამბობთ, რომ ზურაბაშვილის ნაამბობი ტყუილი არ არის, იმიტომ რომ იმან ის გადმოგცა, რაც ხალხს დახსომებიაო!.. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ხალხის გადმოცემა და კერძო კაცის ნაამბობი ვერ გაგირჩევიათ. თქვენ რომ მართლა ხალხში ყოფილიყავით და ხალხის გადმოცემა მოგესმინათ და თიანეთიდამ ალევანში გასეირნებას არ დასჯერებოდით, მაშინ ადვილად შეიტყობდით, რომ ზურაბაშვილის ნაამბობი „სწორედ" ისე შორს არის ხალხის თქმულებაზედ, როგორც აი თუნდა ამ ჟამად მე შორსა ვარ თქვენზედ...

მთაში, როგორც ბარადაც, სხვა-და-სხვა ნაწარმოები სახალხო სიტყვიერებისა ყველამ როდი იცის. არიან ეგრედ წოდებულნი ჰკვათა-მყოფელნი, რომელთაც შენახული და დამარხული აქვთ ყველა ნაირი გადმოცემა, ისტორიული ამბავი და სხვა. უმრავლესობა სწორედ ამ ჰკვათა-მყოფელთაგან სწავლობს ზეპირ-გადმოცემას. ვისაც სურვილი აქვს ხალხის ეთნოგრაფიისა და სიტყვიერების შესწავლისა, ჰკვათა-მყოფელთა უნდა მიმართოს. აბა, ჩემო ბატონო, თქვენ „თავი შეგეწყინათ", თუშეთში წაბძანებულიყავით, იქ გეკითხათ ჰკვათა-მყოფელებისათვის ბახტრიონის აღება და მაშინ დაინახავდით, თუ რა ტყუილი ამბავი მოგახსენათ ზურაბაშვილმა... მაგრამ იქნება თქვენ ჰფიქრობთ, ზურაბაშვილიც ხომ ხალხის შვილია და ხალხში ცხოვრობს, ტრიალებსო... ჰ, რა ცრუ ლოგიკა!..

ბძანებთ, რომ ხალხის გადმონაცემის „ტექსტი" და „ვარიანტი" უნდა დავიცვათო... უკაცრავად-კი გახლდებით, მაგრამ მაინც მოგახსენებთ, რომ ამ შემთხვევაში „ტექსტისა" და „ვარიანტის" მნიშვნელობა დაგვიწყებიათ: რომელმამე უვიცმა თუშმა ტყუილი რომ გიამბოს ისეთს ისტორიულს ამბავზე, როგორიც ბახტრიონის აღებაა, იმ ტყუილის ჩაწერა ხალხის გადმონაცემის „ტექსტისა" და „ვარიანტის" დაცვა როდი იქნება! რა «ტექსტი», რა „ვარიანტი", როცა ზურაბაშვილის ნაამბობი სრულიად არ უდგება ნამდვილს ისტორიულს ამბავს!? განა მართლა ყველაფრის უაზროდ ჩაწერა «ტექსტისა» და „ვარიანტის" დაცვაა?! წაიკითხეთ «ბახტრიონის აღებაში» თქვენგან ჩართული სახალხო ლექსი ზეზვაზედ: იქ, იმ ლექსში, ზეზვა და მეორე გმირი თორღვა ერთად არიან მოქცეულნი, თუმცა საერთო არა ჰქონიათ-რა... თქვენს მთამბეს ზურაბაშვილს ისიც არა სცოდნია, რომ ზეზვა სხვა იყო და თორღვა კიდევ სხვა... თქვენც ამდგარხართ და თორღვა ზეზვაზედ მიგიკერებიათ. რატომაც არა? „ზურაბაშვილმა ხომ ის გადმოგცათ, რაც ერს დაჰხსომებია! „..." ვითომ მწერლობაში და სამსახურში გამოჩენილი რომ არ იყოს, აღარა დაეჯერება-რა!?" მაგრამ უკაცრავად: ეს ზეზვასი და თორღვას ერთმანეთზე მიკერება ხომ „ტექსტისა" და ‹ვარიანტის› დაცვაა!!.

ზოგჯერ-კი ეჭვის თვალით უცქერით ყოვლად სარწმუნო ზურაბაშვილს; მაგალითებრ, არა გჯერათ, რომ ალევანმა თავისი სახელი ალისაგან მიიღო... მაგრამ რაო, როცა აი თვით მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორს ჰგონია, რომ ძველის თემის „Этруски"-ს სახელი წარმოსდგა სიტყვიდგან: „Это русскій"-ო... პოეტისა არ იყოს, ყველას სრული უფლება აქვს სულელობისა და, რასაკვირველია, მეცნიერსაც ამ უფლებას ვერავინ ჩამოართმევს . . . მაგრამ, რაკი რომელიმე მეცნიერი შეცდომას ჰბოდავს, განა იმიტომ ყველას ნება ეძლევა შეცდომასა და ტყუილს გაიძახოდეს და ეს ტყუილი ეპატიებოდეს!? რა შუაშია აქ მოსკოვის პროფესორი? ჩვენ ვამბობდით, რომ ალევანი სახელია ძველის ალბანიისაო. მართალიც არის. ჯერ ისევ სტრაბონი ალბანიად უწოდებდა, სხვათა შორის, ალაზნის გაღმა მხარეს და იმ ადგილს, სადაც ეხლა ალევანია. ისტორიკოსები ეხლაც უჩვენებენ ამ ალევანის ახლო ძველის ქალაქის ალბანოპოლის ნანგრევებს. გარდა ამისა, ჩვენი კათალიკოზები თავიანთ ტიტლოში ალევანსაც იხსენებდნენ—„და ალვანისაო"... თქვენ-კი მაინც გაიძახით: არაო, ალბანია ამა და ამ მაზრას შეიცავდა და ალევანი შორს არის ამ მაზრებზედაო...

სულ ბოლოს მცირე რამე იმ „ცილის წამებაზედაც", რომელიც თქვენის წერილის თავშია მოქცეული. თქვენ ბძანებთ, რომ მე ამ ორის წლის წინად ორი წერილი ვუძღვენი თქვენს რეფერატს „მოხევეთა შესახებ", რომელიც თქვენ წაიკითხეთ მოსკოვის ეთნოგრაფიულის საზოგადოების კრებაზედ და ცუდ-უბრალოდ დაგწამეთ, ვითომ უარ-ჰყავით ხევისბერის „იურიდიული კომპეტენცია"... თქვენთვის, ჩემო ბატონო, სიტყვა „ცილის წამება" მეტად ადვილი და სუბუქი სიტყვა ყოფილა, თორემ აბა როგორ დამწამებდით ცილს ალალ-მართალს კაცს. პირველად ესა, რომ მე არც ერთი სტრიქონი არ მიძღვნია თქვენის რეფერატისათვის „მოხევეთა შესახებ" და არც-კი წამიკითხავს იგი რეფერატი. მეორე, მე-კი არა, თქვენი ამხანაგი ბ-ნი ა. გარსევანაშვილი იწერებოდა მოსკოვიდგან თქვენს რეფერატზედ და, სხვათა შორის, თავისს წერილში იხსენიებდა, ვითომ თქვენ უარ-ჰყავით ხევისბერის „იურიდიული კომპეტენცია". მეც, შემთხვევის გამო, გაკვრით, სხარტულად მოვიხსენიე ეს ამბავი ერთს ჩემს წერილში. განა ეს ცილის წამებაა? არც მაშინ და არც ამ ბოლოს დროს მე უკადრისად და ულირსად არ მომიხსენიებიხართ. არც ვაკადრებ ჩემს თავს თქვენ და ან სხვა ვინმე „ცილის წამებით" მოვიხსენიო; ეს „ცილის წამება", უკადრისობა, თუ გნებავთ, ლიტერატურული ხეპრეობა ჩემს კონდაკში არა სწერია და არასოდეს არც ჩაიწერება... თქვენ-კი საჯაროდ მიკიჟინებთ, ვითომ ცილი დაგწამეთ!!.

ნ. ურბნელი

## ქართულის თეატრის მკურნალი

ბ-ნი პ. მირიანაშვილი თავისს ვრცელს წერილში: „დრამატიული საზოგადოება და ჩვენი თეატრი" (იხ. «ივერია» № 248) ჰკიცხავს როგორც დრამატიულ საზოგადოების მმართველობის, ისე „ივერიის" რედაქციას, კარგად ვერ გამოიკვლიეთო ჩვენის თეატრის სისუსტის მიზეზი, და თითონ სცდილობს ეს მიზეზი აღმოაჩინოს, კისრულობს მკურნალობას და რეცეპტსაც-კი იძლევა.

«არტისტებს წლიური ჯამაგირი არა აქვსთო», სჩივის ბ-ნი მირიანაშვილი. სადა აქვსთ არტისტებს წლიური ჯამაგირი, გარდა სახელმწიფო თეატრებისა? ვეკითხავთ ჩვენ. ევროპაში ბევრი კერძო თეატრია. ამ თეატრებში ბევრი ნიჭიერი არტისტია და იქ თეატრის საქმეც ზოგჯერ მშვენივრად სწარმოებს, მაგრამ არავის თავში არც-კი მოსვლია წლიურის ჯამაგირების დანიშვნა. სახელმწიფო თეატრებშიაც-კი მუდმივი სამსახური არტისტებს ეჩოთირებათ და ბევრი ნიჭიერი მოთამაშე თავს ანებებს სახელმწიფო სცენას, რომ თავისუფლად შეეძლოს სხვა-და-სხვა ქალაქებში მოგზაურობა თავისის ნიჭის გამოსაჩენად. არტისტისათვის, როგორც პოეტისათვის, თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს და იშვიათი არტისტი დათანხმდება ხელ-ფეხი შეიკრას კონტრაქტით რამდენისამე წლით. მეორეს მხრით არც თეატრის მოთავენი კისრულობენ მუდმივ ერთსა და იმავე არტისტის შენახვას, რადგან სცენის საქმე უფრო საზოგადოების გემოვნებაზეა დამოკიდებული და გემოვნება, როგორც მოგეხსენებათ, ხშირად ჭირვეულია: რაც დღეს მოსწონს საზოგადოებას, შესაძლოა ის ხვალ არ მოიწონოს, ან, პირ-იქით, შესაძლოა დღეს შეძულებული, ხვალ აქოს და ადიდოს. ამის გამო, რასაკვირველია, ვერც კერძოს ან საზოგადობრივ თეატრს შეუძლიან არტისტების მუდმივ მოხელეებად გადაკეთება. მაშ თუ ამის ასრულება მდიდარ ევროპიულ თეატრს არ ძალუძს, რათ უნდა მოვეთხოვოთ მეტი ჩვენს ღარიბს დრამატიულ საზოგადოებას? მაშასადამე, ბ-ნო პ. მირიანაშვილო, თქვენი რეცეპტი: „მოთამაშეთ წლიური ჯამაგირი დაუნიშნეთო" გამოუდეგარი ყოფილა; თქვენ ემსგავსებით იმ მკურნალს, რომელიც სურდოთი შეპყრობილს ურჩევდა, ცხენი იყიდე და ისეირნეო... სნეულმაც მართლიანად უპასუხა: ჯერ ერთი რომ ფული არა მაქვს, ცხენი ვიყიდოო და მეორეც ისა, რომ ცხენს რა ხელი აქვს სურდოსთან, არ მესმისო.

მეორე მიზეზი ჩვენის თეატრის სისუსტისა, ბ-ნის პ. მირიანაშვილის აზრით, ის არის, რომ ვითომ ბ-ნი რეჟისორი დასში მხოლოდ იმ მოთამაშეთ ინახავს, რომლებსაც თითონ თანაუგრძნობს, და სდევნის იმათ, ვინც პირადად სძულსო. მკითხველისათვის უნდა გაუგებრად დარჩეს ეს სიტყვები. წერილიდგან არა სჩანს, რა ნება აქვს ბ-ნ მირიანაშვილს ასეთი მძიმე ბრალი შესწამოს ქართულის დასის რეჟისორს? ნუ თუ ამისათვის საკმარისია, რომ დაწუნებულმა მოთამაშემ ისეთი რამ წასჩურჩულოს, რის ხმა მაღლად თქმას თითონ ვერ გაჰბედავს. მე მგონია, რომ თუ ვინმე ჰბედავს სხვას ასეთი ცოდვა შესწამოს, უნდა თავდაპირველად ჰქონდეს ხელში რაიმე მტკიცე საბუთი. ნუ თუ მხოლოდ იმიტომ, რომ დრამატიულმა საზოგადოებამ არ მოინდომა პ. მირიანაშვილის რეჟისორად დანიშვნა (პ. მირიანაშვილი ამ ორის თვეის წინად თხოულობდა რეჟისორის ადგილს), პ. მირიანაშვილს ეხლა ნება აქვს დრამატიულ საზოგადოებას და იმისს რეჟისორს ცილი შესწამოს? ჩვენ არა გვგონია, რომ ეს ბ-ნი ამ გვარის განზრახვით გესლიანობდეს. მაშ ნურც სხვას აბრალებს პირად თანაგრძნობასა და სიძულილს, როცა ლაპარაკობს ისეთს მძიმე და რთულს საზოგადო საქმეზე, როგორც თეატრის გამგეობაა.

ბოლოს პ. მირიანაშვილი სამართლიანად სწუხს, რომ ჩვენი არტისტები ზოგჯერ როლებს არა სწავლობენ და „ბაზაზხანურად ლაპარაკობენო", მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი არტისტები ჰბაძავენ თავიანთ კრიტიკოსებს. მაგ., ბ-ნმა პ. მირიანაშვილმა რომ თავისი როლი არ იცის, ეს ცხადად სჩანს ზემო ნათქვამიდამ, და რაც შეეხება „ბაზაზხანურს ლაპარაკს", ამ ხელობის ოსტატიც ისინი არიან, ვინც ამ გვარ სიტყვებს ხმარობენ: „გაქექილ სიტყვების გაქექა", „მოდებ-მოდება და ყბედობა", „დამყაყებული პიესა". თუ ამას დავარქვათ ლიტერატურული ენა, მაშ რაღას ჰქვიან ბაზაზხანური ლაპარაკი!

თეატრის მოყვარე

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი.

(წერილი მეთხუთმეტე)

„სიბრძნე ბალავარისა" *)

მეფემ შეიტყო და შესწუხდა. ეცადა შვილი ისევ წარმართობისადმი მიექცია. ბევრი ევედრა შვილს, მაგრამ ამაოდ. მაშინ გადასწყვიტა: სხვა კაცს ჩაეცმევა ბალავარისებურად და მოიყვანა მეფის ძესთან, რომ დაუმტკიცოს უპირატესობა წარმართობისაო, მიუყვანეს, მაგრამ ვერც ცრუ-ბალავარმა განუკურნა შვილი მეფეს. მაშინ მეფემ შემდეგი ღონე იღონა. შეჰყარა ხალხი, მოიყვანა იოდასაფი და ყრილობის წინაშე გაიბჭო წარმართთა მოძღვარნი და ერთი ქრისტიანე. ეს ქრისტიანეც წარმართი იყო, მაგრამ მეფეს ქრისტიანეს სახელით გამოეყვანა. მას წინადვე ჩაგონებული ჰქონდა, რომ წარმართთათვის დაეთმო, დაეძლევინებინა თავი თვისი. წინააღმდეგ ამ გარემოებისა, ღვთის განგებით, წარმართ-ქრისტიანემ მოწინააღმდეგენი გაამტყუნა და დაამტკიცა უპირატესობა და სიმართლე ერთ-არსის ღმერთისა. მეფე უფრო შესწუხდა. შვილს მიუჩინა რამდენიმე კეკლუცი ქალი, რომ მათ შეეცდინათ იოდასაფი. ქალებმაც ბევრი ხერხი იხმარეს, ბევრს ეტრფიალნენ, მაგრამ არა გამოდნა-რა. ქალების ენებით აღსავსე სიყვარულს იოდასაფი უპირისპირებდა ტრფიალს უზენაესისადმი.

ბოლოს მეფე დამორჩილდა. შვილს არა დაუშავა-რა. იგი გონიერი კაცი იყო. მიიწვია იოდასაფი და ნახევარი სამეფო დაულოცა—როგორც გსურს, ისე განაგეო. ეს ამბავი შეიტყეს განდევნილ ქრისტიანებმა, მოვიდნენ და მიულოცეს მეფის ძეს. იოდასაფს-კი სულ არ იამებოდა აქაური წარმავალი დიდება და წარუვალს ეტრფიალებოდა.

ერთს დღეს მეფე-მამამ წარგზავნა რამდენიმე კაცი შესატყობად იოდასაფის მდგომარეობისა და იმის მოსაკითხავად წერილიც წარატანა. მეფის ძეს ძლიერ გაუხარდა, რომ დაინახა მამის მოციქულნი. წაიკითხა მამის წერილი და თითონაც გრძნობით

*) იხ. „ივერია" № 249.

სავსე და ქრისტესადმი სატრფიალო წერილი დასწერა და გაუგზავნა მეფესა. მეფე-მამამ განიხარა ფრიად. მოიქცა ქრისტესადმი. ყოველა კერპნი დაამხო, დალეწა და დასწვა. შემდეგ „წარვიდა მეფე და ყოველი ერი მისთანა სამეფოდ ძისა მისისა. ხოლო იოდასაფ, ვითარცა ესმა მისვლა მამისა თვისისა, მიეგება წინა სიხარულითა დიდითა და დავარდა წინაშე მამისა თვისისა და მოიკითხნეს ურთიერთარს, და წარვიდეს პალატად, და ჰყვეს პურობა დიდი". იოდასაფმა ძღვენი და საჩუქარი უძღვნა მეფესა და იმის ერისთავთა და დიდებულთა. შემდეგ უბრძანა სამღვდელოებას განენათლათ მეფე და მისი ერი. მეფე იაბენესი დაბრუნდა თავისს სამეფოში, ააშენა ეკკლესიები, დანიშნა მღვდლები, ეპისკოპოსნი, დიაკონნი და სხვანი.

შემდეგ კეთილის ცხოვრებისა მეფე აღესრულა. იოდასაფმა დაფლა გვამი მამისა. მერე მოუწოდა სასულიეროსა და ყველა ერსა თვისსა, დაჯდა თვით საყდარსა სამეუფოსა და მოახსენა ყველას: აქამდის მამის ხათრი ვერ გავტეხნა. ახლა-კი უნდა შესრულდეს ნება ჩემიო. მონაზნად აღვიკვეცავ, წავალ და ვიცხოვრებ ძმათა შორის. თქვენ განაგეთ სამეფო ჩემი და იცხოვრეთ კეთილადო. შეძრწუნდა ერი მისი და არ უტევებდნენ... იოდასაფი მტკიცედ იდგა თავისს გადაწყვეტილებაზე. იყო ვინმე მისი ფთესავი, სახელად ბარაქია, კაცი ღონიერი და ღვთის მოყვარე. იოდასაფმა ღამე დასწერა წერილი (ანდერძი) თავისის ერისადმი, მეფედ დანიშნა ბარაქია, შეიმოსა ძაძითა და განიპარა ძმათადმი. ბარაქიამ შეატყობინა ხალხს გაპარვა იოდასაფისა. მოწიწებით ეძიეს და მოიყვანეს. მაგრამ მაინც იოდასაფი არ დანებდა, თავისისავე ხელით სამეფო გვირგვინი თავსა ზედა დაადგა ბარაქიას და წავიდა...

ორის წლის შემდეგ იოდასაფს შეხვდა ბალავარი და მოუთხრო თავისი ამბავი. ბალავარი მოუძლურებული იყო და აუწყა იოდასაფს თავისის აღსრულების ჟამი. იოდასაფმა ბევრი იტირა ამისთვის. ბალავარი რომ გარდაიცვალა, მცირე ხნის შემდეგ აღესრულა თვით იოდასაფიც. მეფე ბარაქიამ სცნა მათი გარდაცვალება, მოვიდა და იმათი გვამნი წარმოასვენა და დაკრძალნა ლუსკუმასა შინა ოქროსსა და დიდითა პატიოსნებითა შეამკენა და მას ზედა აღაშენა ეკკლესია...

ეს არის მოკლე მოთხრობა ბალავარისა. აქ ჩვენ გამოვტოვეთ მრავალი იგავი, ზნეობრივი დარიგება და სწავლა.

ამ რომანის შინაარსი, იგავები და სხ. ზედ მიწევნით გვიჩვენებენ და მოგვაგონებენო, ამბობს ლიტტრე, ინდოელების ბუდასაო და ბევრი ადგილები ნამდვილად ჰგვანან შესაფერს ადგილებსა და მოთხრობებს Lalita-vistra-სიო (ცხოვრება ბუდასი). სალმთო მოთხრობები ბუდაზე გავრცელებულ იყო ინდოეთში ბევრით ადრე ქრისტეს მოსვლამდეო. უნდა ვიფიქროთო, რომ დედა-აზრი ამ რომანისა გადმოღებულია ბრამანიზმის რეფორმატორ მეფის ძის, განდეგილ ბერ-მონაზონის, მუნის ცხოვრებიდამაო, ამბობს იგივე ლიტტრე. წმ. საბას მონასტრის (სინას მთაზე) ბერმა შეადგინა ეს რომანიო, რომელიც შეიქმნა ღვთისნიერ მოძღვრებად აღმოსავლეთისა და დასავლეთისათვისაო.

აქ ჩვენ უნდა დავუმატოთ, რომ პატივცემულ ა. ცაგარლის უკანასკნელ თხზულებიდამ (Груз. древн. въ Свят. землѣ и Полестинѣ), როგორც სჩანს, საბას მონასტერი ყოფილა ქართველებისა. ამ მონასტერში ადრევე კეთილად უმოღვაწნიათ ქართველ ბერებს. ეს აგრეთვე საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ბალავარი შედგენილია ქართველისაგან... ქართულს დედანზე, რომელიც ეკუთვნის „წერა-კითხვის საზოგადოებას", აწერია: „სიბრძნე ბალავარისა, თქმული მამისა ისაკის ძის სოფრონ პალესტინელის მიერ". ვინ იყო ეს სოფრონი, არა სჩანს.

აგრეთვე შესანიშნავი ის არის, რომ ფრანგულად ამ რომანს, რომელიც მე-XIII საუკ. გალექსა ფრანგმა მესტვირემ გიუ-დე-კამბრემ, ჰქვიან ბარლაამ და იოასაფატი. იოასაფატის მაგიერ ქართულ დედანში იოდასაფია. აგრეთვე განსხვავება არის თვით ტექსტის ზოგიერთს ადგილებში. აი ერთი ამისთანა ადგილი:

ქართულად

იყო ბერი კაცი მოუძლურებული, რომლისა თმა თავისა სპეტაკ იყო, ვითარცა მატყლი, და პირსა კბილი არ იყო და სიტყუა მისი ფლაფონით იყო.

ფრანგულიდამ.

ტუჲვი ჰქონდა (ბერიკაცს) შემჭკნარი, წელი წახრილი, ქალარა თავი, მწუხარე შეხედულობა; მას კბილი არა ჰქონდა და არცა თმა; ბაგენი თითქო მკვდრისაა, ფერხნი არა ჰქონდეს, მკლავნი სუსტნი, მკერდი მაღალი, მუცელი შევარდნილი, თვალები ჩაცვივნული, ცხვირი გამწვეტებული.

ფრანგულთ დედანში poil ot fronchié (მატყლი შემჭკნარი) ლიტტრეს შეცდომა ჰგონია და გადუსწორებია ასე: pel ot fronchie (მას ტყავი ჰქონდა შემჭკნარი). როგორც ჰხედავს მკითხველი, ორივე შემთხვევაში ფრანგული სიტყვა განსხვავდება ქართულისაგან.

აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ენა ამ რომანისა ფრიად ადვილი გასაგებია და სრულიად მიემსგავსება ვეფხის-ტყაოსნის ენას.

ესომ

## წერილები რედაქციის მიმართ

I

გთხოვთ უმორჩილესად ადგილი მისცეთ ამ მცირე შენიშვნას თქვენს პატივცემულს გაზეთში.

ერთი ჯურის ხალხი ტრიალებს ჩვენს ესრედ წოდებულს ინტელიგენციაში, რომელთა საკუთარი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ჩემზედ დაპარაკით და ცილის დაწამებებით ამცნონ ზოგიერთა პირთ რომელთაც, მათის აზრით, ეს იამებათ და რომელთაგანაც მონარჩენი ნასუფრალიც კარგი ნუზლია. ამ გვარ პირთ, როდესაც შემოაკლდებათ სალაზღანდაროთ ჩემი ნაწერები, მაშინ ისინი სხვების ნაწერებს ემახიან ჩემსას, ჭამენ ამას ქვეყნად და შესცქერიან იმათ, ვისდამიც ჯერ არს: ნახე ბიჭო, როგორი ვიცით თქვენი სიამოვნებაო. თუმცა ჯერ ისევ „დროება-ში" ამ გვარვე პირების ასალაგმათ გამოვაცხადე, რომ რომელს სტატიებსაც არ ეწერებათ ან ჩემი გვარი და სახელი, ან ჩემი ინიციალები, ან ჩემი საზოგადოთ ცნობილი პსევდონიმები, ჩემები არ იქნებიან-მეთქი, მაგრამ ეს კეთილსინიდისიერნი პირნი თავისას არ იშლიან.

ამ გვარი ხმა მოჰფინეს ამათ შესახებ სანდალას ბროშურისა «წერილები ჩვენს მწერლობაზედ». იმათ დარწმუნებით დასცეს ნაღარა და შესძახეს ქვეყანას, რომ ეს ბროშურა არის ანტონ ფურცელაძისაო.

როდესაც ამას გაიძახოდა ის ჭკუისა და ზნის ლაწირაკობა, რომლისაც მიზანი არის მხოლოდ კუდის ქნევა და სხვის თვალებში შეცქერა, მე სრულიად არ ვაქცევდი ყურადღებას. მაგრამ როდესაც ახლა დავრწმუნდი, რომ იმათ ამაში დაუჯერებიათ უფრო დარბაისელი გონებისა და ზნის კაცნი, მე არ შემიძლიან დავიდუმო და არ წარმოვსთქვა რამდენიმე შესაგონებელი აზრი როგორც იმ ლაწირაკთა, აგრეთვე მათ დამჯერო დარბაისელთათვის.

სანდალას ბროშურაში არის ასეთი ადგილი: „ანტონ ფურცელაძეს ისრე ვსცემთ პატივს, როგორც... ნიკო ინაშვილს, «იმედის» რედაქტორს (გურგენიძეს).

დავწერე ბროშურა, არა თუ დავწერე, ვნახე დაბეჭდამდის თვალითა, ვაქე ჩემი თავი და შევადარე ვის?.. ნიკო ინაშვილს, მიხეილ გურგენიძეს!!, არა, კარგი ქება არ იქნებოდა ჩემი თავისა შედარება ამ გვარ კაცებთან, რომელთაც არც ნიჭი, არც გონება, არც მწერლობაში, არც მწერლობის გარეთ არამც თუ არ გამოუჩენიათ და არცა ჰქონიათ. ბარემ კაზელისათვის შემედარებინა ჩემი თავი?

სანდალა ამ ბროშურაში იხსენიებს უკადრისად როგორც პოეტებს: ნიკოლოზ ბარათაშვილს, ვახტანგ ორბელიანს, გრიგოლ ორბელიანს.

ვისაც წაუკითხავს ჩემი ნაწერები, უნდა ახსოვდეთ, რამდენად მაღლა ვაყენებ მე ამ სამთავე პოეტებს. დღესაც თუ არ დიდის აღტაცებით და ზოგჯერ ცრემლითაც არ შემიძლიან წაკითხვა ვახტანგ ორბელიანის „იმედისა", ბარათაშვილის „მერანისა", გრიგოლ ორბელიანის „მუშა ბოქულაძისა" და სხვა. მაშ საიდამ მოხდა, რომ ახლა ასრე გავათახსირე ეს ჩემგან დრმად პატივცემული პოეტები?!.

ეს კიდევ ცოტაა. ვკადრე ჩემს თავს, რომ მე დავწერე და სხვას ვაკისრებინე ის საშინელი ლანძღვა, რომელიც ბეჭდვით მიაყენეს სანდალას?!.

გარწმუნებთ, ის ბროშურა რომ ჩემი ყოფილიყო, ან გამგებოდა იმისი დაწერა და თვალიც არის გადამელო, არც ისრე ადვილად დაუშვებდი მიჩს იმ ლანძღვას, ფურთხებას და „მუხანათად" მოხსენებას, რომელიც მოჰფინეს სანდალას თავს. თუ სოსლანებს, გაზელებს და ზოილებს არავინ უკადრებს თავს და კრიდებიან გასვრილს ჯოხებს, ეს იმიტომ-რომ ყველა მკითხველმა იცის, რომ ამ გვარი მწერლების ნაწერი უგულმა უნდა გასმოდეს. პასუხი მაშინა გმართებსთ, თუ ღმერთი გაუწყრა შენს თავს და გაქეს. მაგრამ ავტორი სანდალას ბროშურის გარჩევისა იმდენად შესანიშნი და პატივცემული პირია, რომ მისი სიტყვა ფასობს საზოგადოებაში მაშასადამე, მისი ქება ქებაა და კიცხვა—კიცხვა, რომელთანაც უპასუხობა არ ივარგებდა.

ანტონ ფურცელაძე

II

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა ვუძღვნა ბ-ნს მიხეილ ზაალის ძეს ყიფიანს, რომელმაც თავისის ხარჯით წაიყვანა კავკავის სკოლის მოსწავლენი (24 ყმაწვილი) სამხეცოში.

კავკავის ქართულის სკოლის მასწავლებელი
ბედელაძე.

## უცხოეთი

ინგლისი. ედინბურგში სალისბერიმ, დღევანდელმა მთავარ-მინისტრმა, დიდი სიტყვა წარმოსთქვა ლიბერალთა საწინააღმდეგოდ ირლანდიის შესახებ. „უცნაური უთანხმოება ჩამოვარდაო, სთქვა ორატორმა,—ჩვენსა და ლიბერალებ შორის. ძველად ასე იყო, რომ ვისაც უნდოდა შეეცვალა რამე ცხოვრებაში, მოჰყვებოდა და დაწვრილებით უამბობდა პარლამენტს თავისს პროექტსა და თავისს სურვილსა. პარლამენტიც სჩხრეკდა იმათ პროექტს, იმათს სურვილსა და ან მიიღებდა, ან უარ-ჰყოფდა. ლორდი ჯონ როსსელი ყოველ წლივ წარმოადგენდა ხოლმე თავისს პროექტს ცვლილებისას. ლორდს ბროკგემს უნდოდა გათანაბრება უფლებით მამაკაცისა და დედაკაცისა და ყოველის ღონის-ძიებითა სცდილობდა ამ სურვილის განხორციელებისათვის. ეხლა-კი სულ სხვასა ვხედავთ. ეხლა მთელი დასია შემდგარი და ამ დასს საგნად მხოლოდ ის გაუხდია, რომ მოსპოს კავშირი ინგლისსა და ირლანდიას შუა. ეს დასი ისე ჩაეჭიდა ამ საგანს, რომ იმის გულისათვის შემოიფანტა ზოგიერთი თავისი მეტად ერთგული მომხრენიცკი. ლიბერალებმა შეადგინეს შესაფერი კანონ-პროექტიცა და წარმოუდგინეს პარლამენტს, ქვეყანას. იმათი კანონ-პროექტი არ მოიწონეს არც იმათმა მეგობრებმა და არც მტრებმა. ასე გასინჯეთ, თავათაც-კი საჯაროდ უარ-ჰყვეს თავიანთი კანონ-პროექტი. სულ იმას ამბობენ, რომ ის კანონ-პროექტი აღარ არსებობსო, ნულარ მოიხსენიებთ იმ კანონ-პროექტსაო, ეგ უსამართლობაა თქვენის მხრითაო. ამბობენ ამას [illegible] აღარ უნდათ, თუ იმის სამაგ[illegible] პროგრამას ადგიან. ჩვენ ყველ[illegible] გვეგონა, რომ ბირმინგამში იმათი მეთაური, დიდი გლადსტონი, განვუმარტავდა თავისს აზრს. მერე ყველა მეთაურნი ლიბერალთა დასისანი იქ იყვნენ; ამბავი დიდი იყო; სიტყვა ბევრმა წარმოსთქვა. მაშასადამე სწორედ კარგი საბაბი იყო, რომ ეთქვა ვისმე, რა ახალს პროგრამას ადგია დასი ლიბერალებისა. ასე გვეგონა, მაგრამ ნამდვილად-კი ამ გვარი არა მომხდარარა. რას ნიშნავს ესა? რა არის აქ დაფარული? რატომ არ გვეუბნებიან, რა ცვლილება უნდათ ისეთი, რომლის გამოც ჩვენ უნდა ხელი ავიღოთ ირლანდიაზე. ამბობენ, ვითომ იმიტომ არას აცხადებენ, რომ ეფიქრებათ, ქვეყანამ არ გაჰკიცხოს იმათი პროგრამა. მართალიც არის. უფრო ადვილია უმნიშვნელო საგნები გამოჰფინონ საარჩევნო ბრძოლის დროს, ვიდრე ის საგანი პროგრამისა, რომელიც უმთავრესია. ვინ იცის, იქნება ასეც არის. მაგრამ მე მგონია, რომ უფრო ადვილი ასახსნელია მათი დუმილი. სდუმებენ უფრო იმიტომ, რომ სათქმელი არა აქვთს-რა. იმათის ლაპარაკიდამა სჩანს, რომ თვითონაც კარგად ჰგრძნობენ, რა ძნელს საქმესაც მოჰკიდეს ხელი. ჩვენი მოწინააღმდეგენი იმაზე არასა ჰფიქრობენ, რომ ჰომრულში საქმე მარტო ცალკე საკანონ-მდებლო კრებაზე არ არის დამოკიდებული. ისინი გვეუბნებიან, რომ ირლანდიის განცალკევებაზე, ცალკე ყოფნაზე არავინ არასა ლაპარაკობსო. მაგითი გინდათ შეაშინოთ ქვეყანაო. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ ირლანდიას კანონ-მდებლობა შეეძლოს იმ საქმეებში, რომელიც იმასვე შეეხებაო. ეს ყველა კარგი, მაგრამ რატომ ლიბერალები იმას-კი აღარ ამბობენ, რით გვითავდებენ, რომ ცალკე საკანონ-მდებლო კრების დაარსებას სრული განცალკევება არ მოჰყვება? სასაცილოა, რასაც ისინი ამბობენ ამ მხრივ: ჯორჯ ტრეველიანი გვეუბნება, რომ ირლანდიის წარმომადგენელნი დეპუტატებად უნდა იყვნენ ლონდონშიაცა და დუბლინშიაცაო. ირლანდიის დეპუტატები რაც არიან, ისინიც საკმაონი არიან. მათი გამრავლება ერთი-ორად არაფერი სასურველია, რადგან მაშინ ერთი ორად უფრო დამოკიდებულნი ვიქმნებით იმათგან. ჰომრულერები-კი სცდილობენ ხმა არ ამოიღონ იმ საგნის გამო, რომ აქ მარტო ცალკე საკანონმდებლო კრებაზე არ არის ლაპარაკი. მარტო ამაზე რომ იყოს საქმე, ეს კიდევ დიდი უბედურება არ იქნებოდა, ამიტომ—რომ საჭირო შემთხვევაში შეიძლებოდა მეფე ჩარეულიყო საქმეში და ნება არ მიეცა საკანონ-მდებლო კრებისათვის რაიმე მავნებელი კანონი შემოეღო. მე მგონია, რომ შეიკრიბებოდა თუ არა ცალკე პარლამენტი ირლანდიისა, მაშინვე გააუქმებდა თავისუფლებას ვაჭრობისას, მერე ძალით გამოართმევდა ფულზედ მემამულეებს მიწა-წყალსა, გააუქმებდა კერძო საკუთრებას და ბოლოს სახელმწიფოსაც უარს ეტყოდა და ვალს არ გადაუხდიდა. ყველა ამას მეფე შეზღუდავდა და ბოლოს მოუღებდა. დიდხანს ჰქონდა ირლანდიას ნება კანონ-მდებლობისა, მაგრამ ეს ნება შეზღუდული იყო ხოლმე მეფის სურვილით. ეხლა-კი ისეთს რასმე ჰხოულობენ ირლანდიელები, რაც არა ჰქონიათ აქამდე. ისინი ითხოვენ, რომ ნება გვქონდეს აღმასრულებელი მთავრობაც ჩვენ დავნიშნოთ ხოლმეო, მოსამართლენიც ჩვენ გავამწესოთ, კანონის მოქმედებასაც ჩვენ ვადევნოთ თვალ-ყური და სხვანი. ვითომ რა უნდათ ამითი ირლანდიელებს? ისკი არ უნდათ, რომ მარტო კანონმდებლობა ჰქონდეთ, არა, უფრო ისა ჰსურთ, რომ აღმასრულებელი უფლება მეამბოხეთ ჩაუვარდეთ ხელში. ეს არის უმთავრესად საშიში ჰომრულის საქმეში. კანონ-მდებლობის საქმეც საშიშია, მაგრამ ის კიდევ ისე დიდი ბოროტება არ არის. შიში მაშინ იქმნება, როცა აღმასრულებელი უფლება ხელში ჩაუვარდებათ კანონისა და წესიერების მტერთა. ეს არის პირველი საქმე".

## წვრილი ამბები

გაზ. „Politische Corespondenz-ი ამბობს: სტამბოლში დიდად უსიამოვნოდ არიან იმის გამო, რომ იქაური ბეჭდვითი სიტყვა მეტის-მეტად შეზღუდულ იქმნა ამ ბოლოს დროს. მინისტრთა საბჭოს გარდაწყვეტილებისამებრ, იუსტიციის მინისტრმა ჯვედეთ-ფაშამ გაუგზავნა სხვა-და-სხვა რედაქციებს თხუთმეტი მუხლი ახლად დადგენილ კანონისა, რომელშიაც ნაჩვენებია, თუ რისა და რის შესახებ არა აქვსთ გაზეთებს ნება თავისი მსჯელობა იქონიონ. კანონებით აღიკრძალება, სხვათა შორის, ბეჭდვა: ამბებისა, ანუ ხმათა იმის გამო, თუ ვინმე დიდებულთა კაცთა ზიანი და ან სხვა ფათერაკი განემზადა. ნება აქვსთ სწერონ და ბეჭდონ სხვა-და-სხვა საკვეთილოდ მოგონილ სამკურნალო და სხვა

გვარ საშუალებაზე, ხოლო მეცნიერებაზე-კი არა უნდა სთქვან-რა. აღკრძალულია ბეჭდვა ზნეობრივად გამხრწნელისა და ორ-აზროვანის წერილებისა, საჩივრებისა მთავრობის მოხელეებსა და თვით ცენზურებზე და ამობეჭდილ ფურცლებისა იმ წიგნებიდგან, რომელიც მოწონებულ არ არის საერო განათლების მიერ. ამბობენ, რომ ასეთი სასტიკი კანონები ჩქარა იქმნება გაუქმებულიო. ამის მიუხედველად გაზეთის გამომცემლებს უკვე მიუმართავსთ დიდის ვეზირის ქაიმილ-ფაშასათვის, რომ შეღავათი მოგვეცით რამეო.

— ინგლისურს სამკურნალო „The Sanitary Record"-ში შემდეგი საყურადღებო ამბებია იმის შესახებ, თუ როგორ ავრცელებენ ხუნაგს კატები. ამ ავადმყოფობის გავრცელების უკანასკნელს დროს კიფილდში ექიმმა ბრიუსლომ შენიშნა, რომ კატებიც ბევრნი იყვნენ უკავილის გავრცელების დროს ავადაო; მართალია, ქალაქის ექიმები დანამდვილებით არ ამბობდნენ თურმე, რომ კატები ხუნაგით ხდებიან ავადაო, მაგრამ იმათაც-კი სრული ნიშნები უპოვეს ზემოხსენებულის სნეულებისა. ხოლო აი იმისი საბუთი, თუ რამდენად ვრცელდება ეს სენი კატების მიერ. ერთს ოჯახში პატარა ყმაწვილი ხუნაგით ავად გამხდარა; ეს სენი ავადმყოფს პირის საქმებით დასწყებია; კატას აულოკნია ნასაქმი და რამდენსამე დღეს შემდეგ ისიც ავად გამხდარა. სახლის პატრონს შეუმჩნევია თუ არა, რომ კატას ბავშვისებური სენი აქვსო, მაშინვე მოუკლავს იგი. ხოლო ამ ამბავამდე ეს სნეული კატა მეზობლის კატას შეჰყრია ეზოში და იმასაც გადასდებია ხუნაგი. ის მეზობლის კატა ძალიან უყვარდა თურმე ოთხს ბავშვს, რომელთაც დაუწყიათ ავადმყოფის კატის მოვლა და ფარეში. ეს ოთხივე ყმაწვილიც დასნეულებულა. იმ ყმაწვილების დედა დარწმუნებული ყოფილა, რომ სნეულება ესე კატისაგან გადმოედებოდათ, რადგან სხვა მხრივ ძნელად თუ დამართოდეთო.

— „Figaro"-ს სიტყვით, ამასწინად გამოჩენილს ბარიტონს ლასალის უმღერნია ბუდაპეშტს და თავისი როლი ერთს ოპერაში აუსრულებია ფრანგულს ენაზე. იმავ საღამოს მეორე მომღერალს-ქალს იტალიურს ენაზე უმღერნია, დანარჩენს არტისტებს გერმანულზე, ხოლო ხოროს-კი ვენგრიულად. აბა ბაბილონის გოდოლის აღშენების დროს ენათა შერევნა თუ გნებავთ, ეს არის აი!

— ერთს ლვოველ მანდილოსანს დიდძალი ფული გადაუდვია და პირობად დაუდვია: იმას მივსცემ, ვინც უფრო საუკეთესო სახელმძღვანელოს შეადგენს, თუ „როგორ უნდა მოაწონოს ქმარმა ცოლს თავიო". ეს ამბავი უკვე გამოცხადებულია ლვოვის გაზეთებში.

# დეპეშა

27 ნოემბერი

**ჩარჯუი.** იშაქ-ხანი დაბინავდა ქალაქ კარკის მახლობლად, ხუთის ვერსის სიშორეზე; ორი ათასი ავღანელი, რომელნიც იშაქ-ხანს თან მოჰყვა, გაიფანტა ბუხარაში.

აბრეშუმეულობის მანუფაქტურის „პ. ზაგერცისა, დ. მ. რეიხმან-დრუსევეისკისა და ამხანაგობის" წარმომადგენელთ გაუმართავთ ბუხარის სახანოში სხვა-და-სხვა ადგილას საწყობები. ვარშავის მანუფაქტურის საქონელი ძალიან კარგად იყიდება.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

ნოემბერი 30 დღით არის

29 დღე სამშაბათი. წმ. მოწ. პარამონისა და აბიბოსი. კათოლ. ეპ. სატურნინასი. სომეხ. წმ. ლუკიანესი და სხ. მაჰმად. მე-8 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 7—17, ჩადის 4—30. მთვარე 9 დღისაა.

30 დღე ოთხაბათი. მოციქ. ანდრია პირველ-წოდებულისა. კათოლ. მოციქ. ანდრიასივე. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-9 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—სენატის მიერ გამოიცა უწყება, რომ ამიერ-კავკასიაშიაც იქმნას შემოღებული უმაღლესად დამტკიცებული სამოქალაქო დებულება, 1874 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53. ტფილისში მზე ამოდის 7—17, ჩადის 4—31. მთვარე 10 დღისაა.

დეკემბერი 31 დღით არის.

1 დღე ხუთშაბათი. წინ.-მეტყ. ნაუმისა. კათოლ. წმ. ნატალიასი. სომეხ. წმ. პატრ. კლიმენტისა და პანკრატიასი. მაჰმად. მე-10 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—სამეგრელოში გლეხნი განთავისუფლებულ იქმნენ ყმობისაგან, 1866 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—54. ტფილისში მზე ამოდის 7—18, ჩადის 4—31. მთვარე 11 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3½ " |
| " 2 " | 3 " |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 " |
| " " 2 — | 4 " |
| " " 3 " | 3½ " |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 " |
| მე-2 ხარისხისა | 4 " |
| მე-3 — | " " |
| მროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 8 " |
| " 2 " | 7 " |
| სუკი | 14 " |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 8 " |
| ღორის ხორცი | 8 " |
| " 2 " | 7 " |

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი | — | — | 8 | 49 | ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური | 1 | 02 | 1 | 17 | რიონი | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო | 8 | 05 | 8 | 07 | გორი | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი | 11 | 13 | — | — | ტფილისი | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევის 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წუთზედ.

ტფილისსა და სურამს შუა

| სტანციები | საათი | წამი | საათი | წამი | სტანციები | საათი | წამი | საათი | წამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | გორი | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | — | — | 50 | ტფილისი | 8 | 24 | — | — |


# განცხადებანი

ს.-პეტერბურგის საექიმო გამგეობის ნება-რთვით

ისყიდება

**ბამბა „გავანნა"**

თამბაქოს მხმარებელთათვის.

ეს ბამბა, პაპიროსში ჩადებული, ჰსპობს ნიკოტინსა და სხვა მავნე ნივთიერებას, ამით იცავს თამბაქოს მხმარებელის ჯანის სიმრთელეს და აგრეთვე თამბაქოს გემოს უკეთებს და უუმჯობესებს.

ყუთი ჰღირს 10 კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო თამბაქოს მაღაზიებში. უმთავრესი საწყობი ნარდად საყიდავად იმყოფება ალექსანდრე ვენცელთან, ს.-პეტერბურგს, ყაზანის ქუჩაზედ, 3; მოსკოვს, მოსკოვის ვიწრო ქუჩაზედ, სოლენიკოვების სახლში.

ბ-ნთ სხვა ქვეყნელთ 3 მანათად გაეგზავნებათ 25 ყუთი. ვაჭრებს შეღავათიანად და ნაკლებ ფასად დაეთმობათ.

სიყალბის ასაცილებლად ვთხოვთ მხმარებელთ ყიდვის დროს მიაქციონ ყურადღება ბამბის გამომგონ ნ. როზენბლატის გვარს, იმისივე მოწერილს, და ასოებს „A. W." ყოველ ყუთზედ.

(3—1) ალექსანდრე ვენცელი

ისყიდება სოხუმიდამ 24 ვერსზე.

**მამული ვორონოვისა**

ათასი დღიური შენობებითა და სამეურნეო მოწყობილობით.

ვისაც ჰსურს შეიძინოს ეს მამული, მიჰმართოს დაწვრილებით გარემოების შესატყობად სოხუმში ივანე ვასილის ძეს ენიუტინს. (24—15)

გამოვიდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

**მამიდა ასმათი**

მოთხრობა

გ. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის" რედაქციის მიერ.

ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

**წიგნთ-საწყობში**

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101) ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან | " | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. | " | 15 |
| ორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა | » | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა | " | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის" გამოცემა. | " | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. | " | 30 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა | " | 25 |
| გენათის მონასტერი, გამოც. აბაშიძისა | " | 25 |
| საიბიკონი, რ. ხუნდაძისა. | 1 | " |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | " | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა | " | 15 |
| გულივერის მოგზაურობა | " | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. | " | 20 |
| ოტელლო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ. | " | 50 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა | " | 5 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | " | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | " |
| სამართლის წიგნი კასტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) | " | 35 |
| ვაზის ობი. | " | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი | " | 30 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა | " | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | " | 5 |

# დედა-ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების" მიერ

ისყიდება

„საზოგადოების" კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა" ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:
Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.


Доз. ценз. Тифлисъ, 28-го Ноября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე